

# ბიბლიოთეკის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

შპს გურამ  
თავართქილამის  
სახელობის  
თბილისის  
სასწავლო  
უნივერსიტეტი

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებასთან ერთად, ცოდნის მიღების წყაროებიც მნიშვნელოვნად იცვლება, ბიბლიოთეკა თავის ნიშას მაინც ინარჩუნებს – ის ქმნის შესაძლებლობას, მიიღო ცოდნა, გვექონდეს ხელმისაწვდომობა მრავალფეროვან ლიტერატურაზე, იყო კრეატიული, ინოვაციური და შენთვის საინტერესო საზოგადოების წევრი. სწორედ ამ იდეას ემსახურება ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც შექმნიდან, 2009 წლიდან დღემდე, ბაზას ამდიდრებს ნაბეჭდი და ელექტრონული ლიტერატურით, ქმნის სტუდენტებზე მორგებულ გარემოს, ბიბლიოთეკის სამსახურის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო კვლევით პროცესებს, უზრუნველყოს სწავლისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესება, თანამედროვე საინფორმაციო რესურსების დანერგვის გზით. ასევე, მისი ამოცანაა, უნივერსიტეტის სტუდენტების და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფა, როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ფორმატით, ხელსაყრელი გარემოს, ინოვაციური პროცესების დანერგვა და მასში სოციუმის ჩართულობის უზრუნველყოფა.

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა დამოუკიდებელი ერთეულია და მასში დასაქმებულია 2 თანამშრომელი. ბიბლიოთეკას აქვს ორი სამკითხველო დარბაზი, საცავი, აბონიმენტი, კომპიუტერული და საპრეზენტაციო დარბაზი.

ბიბლიოთეკის თანამშრომლები, ინაწილებენ ბიბლიოთეკის ძირითად საქმიანობას და უზრუნველყოფენ მის ეფექტურ ფუნქციონირებას. ეს სამუშაოებია:

- ფონდების კატალოგიზაცია და კლასიფიკაცია
- მკითხველთა მომსახურება
- საბიბლიოთეკო ფონდების და მენეჯმენტის დაგეგმვა და შესრულება

## **I. ფონდების კატალოგიზაცია და კლასიფიკაცია**

ეპიდემიური პირობების მიუხედავად ბიბლიოთეკა აქტიურად მუშაობდა სტუდენტებისა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოთხოვნების შესაბამისად

2021 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ განახორციელა წლის განმავლობაში შემოსული წიგნების და ელექტრონული რესურსების დამუშავება და კლასიფიკაცია-კატალოგიზაცია, მათი მონაცემები დაემატა, როგორც ელექტრონულ ასევე ტრადიციულ კატალოგს (ბიბლიოთეკა

ელექტრონულ კატალოგთან ერთად დღემდე აწარმოებს, ტრადიციულ კატალოგს). შეძენილი და ნაჩუქარი წიგნები პრიორიტეტების და სასწავლო დარგების (ათწილადი კლასიფიკაციის ) მიხედვით განაწილდა საცავსა და დარბაზებში.

ელექტრონული კატალოგის შეფერხების შემთხვევაში საბიბლიოთეკო მომსახურების ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით ჯერ კიდევ 2010 წლიდან ბიბლიოთეკამ დაიწყო ელექტრონული საინვენტარო და ჯამობრივი აღრიცხვის ჟურნალის წარმოება საკლასიფიკაციო ინდექსის შენახვის კოდის მითითებით. დღეისათვის ყველა საბიბლიოთეკო ერთეულია აღრიცხული.

ინფორმაციული რესურსების კატალოგიზაციის პროცესების დახვეწისა და საძიებო ინსტრუმენტების სრულყოფის მიზნით, ბიბლიოთეკა აგრძელებს ორენოვანი (ინგლისურ-ქართული) საგნობრივი რუბრიკატორების განვითარებასა და რედაქტირებას დიუის ათწილადი კლასიფიკატორის ათივე კლასის ქვეკლასებისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ როგორც ბიბლიოთეკარს, ასევე მომხმარებელს საშუალება ექნება არა მხოლოდ ავტორის, სათაურისა და სერიის, არამედ თემისა და გაფართოებული ძირითადი სიტყვის მიხედვითაც მოძებნოს ლიტერატურა ელექტრონულ კატალოგში.

## II. მკითხველთა მომსახურება

საანგარიშო პერიოდში ბიბლიოთეკა ადგილზე მოემსახურა 44- მკითხველს, მათგან 27 - ბაკალავრი, 7 - მაგისტრანტი, 10- პროფესორ-მასწავლებელი. სულ გაიცა 172 ერთეული. დარბაზით ისარგებლა 18-მა, აბონემენტით-154 ( ეს სტატისტიკა არ არის სრულყოფილი, რადგან ჩვენგან დამოუკიდებლად მკითხველები აქტიურად იყენებდნენ იმ ელექტრონულ რესურსებს რომლის გაციფრულება და ატვირთვა მოხდა ჩვენს მიერ)

მკითხველთა ბიბლიოთეკაში უკეთ ინტეგრირების მიზნით ბიბლიოთეკა ახორციელებს სხვადასხვა სახის სერვისებს.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ განხორციელდა მონაცემების შეგროვება სხვადასხვა სერვისზე: ბიბლიოთეკათმორისი შეკვეთა, შეეკითხე ბიბლიოთეკარს, მოთხოვნილი ლიტერატურის ელექტრონული ფორმით მიწოდება, დაჯავშნა, სამეცნიერო სტატიების მოძიება , ზეპირი და წერილობითი ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის გაცემა. მონაცემთა შეგროვება მიზნად ისახავდა მკითხველის მიერ მათზე მოთხოვნის რაოდენობის დადგენას და აქტიურად მოთხოვნადი ლიტერატურის განსაზღვრას. სასურველია ბიბლიოთეკას

ჰქონდეს კიდევ ერთი სერვისი ელექტრონული შეკვეთა, მაგრამ არსებული პროგრამა რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ ამის საშუალებას არ იძლევა. (როგორც ჩემთვის ცნობილია ასეთი სერვისი გააჩნია ახალ პროგრამას, )

**1. ბიბლიოთეკათშორისი სერვისი** - უნივერსიტეტს ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტი გახსნილი აქვს: საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ასევე თანამშრომლობის მემორანდუმი გვაქვს გაფორმებული სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, რომელიც საშუალებას აძლევს ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს წვდომა ჰქონდეთ მათი ბიბლიოთეკის რესურსებზე . ამ სერვისის ფარგლებში შემოსულია 17 შეკვეთა აქედან

- ✓ 11 - დასახელების ეგზემპლარი მოტანილია მკითხველისთვის
- ✓ 2 - წიგნი არ აღმოჩნდა არცერთი პარტნიორის ფონდში
- ✓ 4- დასახელების ერთეული საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელუხლებელ ფონდშია, რის გამოც ვერ მოხერხდა სარგებლობა.

**2. შეეკითხე ბიბლიოთეკარს** -“შეეკითხე ბიბლიოთეკარს“ სერვისის ფარგლებში შემოსულია 320 წერილი, საიდანაც

- ✓ ლიტერატურაზე მოთხოვნა - 293
- ✓ გატანილ წიგნზე ვადის გაგრძელება - 12
- ✓ სხვადასხვა საკითხები (მაგ: ბაზებთან დაკავშირებული პრობლემები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და სხვ.) – 17

**4. სამეცნიერო სტატიების მოძიება** - აღნიშნული სერვისით, რაც გულისხმობს მკითხველისთვის საინტერესო თემაზე სხვადასხვა სამეცნიერო ბაზიდან სტატიების მოძიებას, ისარგებლა 15 მკითხველმა

### **III .საბიბლიოთეკო ფონდების და მენეჯმენტის დაგეგმვა და შესრულება**

2021 წლის განმავლობაში თანამშრომლებმა, უნივერსიტეტში სასწავლო და კვლევითი პროცესის ხელშეწყობის მიზნით ბიბლიოთეკის ფონდების მენეჯმენტში რამდენიმე ძირითადი მიმართულებით იმუშავეს. ეს მიმართულებებია:

1. წიგნადი ფონდის კოლექციების განვითარება და გამდიდრება

2. წიგნადი ფონდის გაციფრულება
3. წიგნადი ფონდის კოლექციების გამოხშირვა, ამოღება და შენახვა
4. ღონისძიებები
5. ელექტრონული რესურსების, სამეცნიერო ბაზების შექმნა

## 1. კოლექციების განვითარება და გამდიდრება

2021 წლის განმავლობაში ფონდის შევსებისას ბიბლიოთეკამ იხელმძღვანელა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მიერ მოითხოვნილი და მათზე გაცემული უარების მონაცემებით, ასევე სილაბუსებში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე. დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა როგორც ბიბლიოთეკის ბიუჯეტი, ასევე შემოწირულობები

**2021 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის ფონდი შეივსო 54 დასახელების 859 ლარის ღირებულების ნაბეჭდი წიგნით.**

ფონდის შევსების დროს გათვალისწინებული იქნა ორივე საფეხურის სტუდენტების სილაბუსებში შეტანილი სახელმძღვანელოები.

## 2. წიგნადი ფონდის გაციფრულება

ჩვენ სტუდენტებს სწავლებისა და კვლევისთვის საჭირო ლიტერატურას თავად ვაწვდით და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ანტიპლაგიატის პროგრამის მუშაობის პროცესში მონიტორინგს ატარებენ.

ბიბლიოთეკამ COVID პანდემიის გამოწვევებზე მუშაობა სწრაფად დაიწყო, სწავლების ონლაინ რეჟიმზე გადასვლამ დღის წესრიგში დააყენა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის საჭირო ლიტერატურა მიგვეწოდებინა ელექტრონული სახით, უნდა მომხდარიყო სილაბუსებში მითითებული ყველა სახელმძღვანელოს გაციფრულება, ან მოგვეძიებინა უკვე არსებული, რაც მოვახერხეთ კიდევ დღეისათვის ბიბლიოთეკას აქვს ყველა სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია, 2620 ერთეული, რისი დამსახურებითაც, არც ერთი სტუდენტი, საჭირო ლიტერატურის გარეშე არ დარჩენილა.

საბას ელექტრონულს ბიბლიოთეკაზე უფასო წვდომის მოპოვებით ბიბლიოთეკის სამსახურმა, ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა მისცა, ჰქონოდა უფასო წვდომა, როგორც სამეცნიერო, ასევე მხატვრულ ლიტერატურაზე

### **3. კოლექციების ამოღება, შენახვა**

როგორც ყველა ცოცხალი ბიბლიოთეკა, ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაც ორიენტირებულია ფონდის განახლებასა და განვითარებაზე. ამისთვის აუცილებელია პერიოდულად როგორც ახალი წიგნების შეძენა, ასევე ფონდის გათავისუფლება დაზიანებული, მორალურად მოძველებული და სასწავლო ან კვლევითი პროცესისთვის შეუსაბამო ლიტერატურისგან. სწორედ ამ მიზნით ბიბლიოთეკამ საცავის ფონდში

**გამოხშირვის მიზნით დაამუშავა 568 ეგზემპლარი წიგნი, თანხით 1283 ლარი და 67 თეთრი**

### **4. ღონისძიებები**

ფონდების განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და კოლექციების მენეჯმენტის გამართული ფუნქციონირებისთვის ბიბლიოთეკამ 2021 წელს დაგეგმა და ჩაატარა კვლევები და განახორციელა აქტივობები.

წინარე კვლევის შედეგად გამოიკვეთა ზოგიერთი სტრატეგიული მიმართულების დახვეწის საჭიროება:

- არსებული ფონდის შეფასება, აუდიტი, მოვლა, შენახვა, გამდიდრება, ანალიზი, აღწერა ;
- რესურსების განახლება, შეცვლა ან სხვა ფორმატში გადაყვანა, კოლექციიდან ამოღება, შერჩევა, შესყიდვა, გაზიარება, საჩუქრები;
- მომხმარებლის მოთხოვნილებების შეფასება და ადეკვატური შესყიდვის დაგეგმვა-განხორციელება;
- ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების ხარისხი და მნიშვნელობა;
- ელექტრონული რესურსების განვითარება;
- საავტორო უფლებების დაცვა;

## 5. ელექტრონული რესურსების, სამეცნიერო ბაზების შექმნა

2021 წელს განახორციელდა ელექტრონული ბაზების შესყიდვა საუნივერსიტეტო საზოგადოების გამოკითხვაზე დაყრდნობით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტების დეკანებმა და კათედრის გამგეებმა. შედაგად, ხელშეკრულება იქნა დადებული საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმ 2017 - თან, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ორგანიზაცია გამომდინარე წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას არეგისტრირებდა კონსორციუმის წევრად და უფლებას აძლევდა უნივერსიტეტს მონაწილეობა მიეღო პროექტში „ ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის –EIFL”, კერძოდ შემდეგი ელექტრონული რესურსების გამოყენების:

Cambridge J Journals online (<https://www.cambridge.org/core>)

e-Duke Journals Scholarly Cillection (<https://read.dukeupress.edu/>

Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://elgaronline.com>)

Edward Elgar Publishing Journals (<https://elgaronline.com>)

European Respiratory Journals (<https://erj.ersjournals.com>)

IMechE Journals (<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMchE>)

Mathematical Sciences Publishers Journals(<https://msp.org/>)

Openedition Journals (<https://www.openedition.org/>)

Royal Society JoernalsCollection([https:// royalsociety.org/journals/](https://royalsociety.org/journals/))

SAGE joernals (<https://journals.sagepub.com>

ასევე უფასოდ გამოაქვეყნოს პუბლიკაციები ღია წვდომის ჟურნალებში, ელექტრონული რესურსებიდან:

De Grouter APCs for open access publishing

European Respirstory Journal

Royl Society Journals Collection

SAGE APCs for open Access journals

50% ფასდაკლებით გამოაქვეყნოს პუბლიკაციები ღია წვდომის ჟურნალებში, ელექტრონულ რესურსებიდან:

Cambridge university Press APCs for open access publishing

Edward Elgar publishing APCs for open access publishing

Taylor & Francis APCs for open access journals

World Scientific APCs for open access publishing

**მომსახურებაში გადახდილი იქნა 1350 ლარი**

უნივერსიტეტს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ELSEVIER-ის („ელსევიერის“) სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე, რომელიც მოიცავს:

1.Scopus (ციტირებისა და აბსტრაქტების უდიდესი საერთაშორისო ბაზა)

2.Science Direct (სამეცნიერო ჟურნალების ბაზა)

3.Scival Funding (სამეცნიერო გრანტების ბაზა)

### **ურთიერთთანამშრომლობა**

ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და კონსორციუმში შემავალ საქართველოს სხვა ბიბლიოთეკებთან სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ღია წვდომის რეჟიმში კოლექციების განთავსებისა და საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებში. ბიბლიოთეკის თანამშრომლები რეგულარულად მონაწილეობენ კონსორციუმის შეხვედრებში მომხსენებლებისა და მონაწილეების სტატუსით; ესწრებიან საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ დაგეგმილ სემინარებს.

### **სამომავლო გეგმები**

გარდა ყველა იმ აქტივობისა, რასაც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ახორციელებს ყოველწლიურად და რომლებიც ბიბლიოთეკის არსებობის თანმხლები პროცესებია, ჩვენი ბიბლიოთეკა, 2022 წლისათვის გეგმავს განაგრძოს 2021წელს მიმდინარე შემდეგი პროექტები:



- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა წიგნადი ფონდის კოლექციების გამოხშირვა, ამოღებასა და შენახვის პროექტს. რომლის მიზანია მორალურად გაცვეთილი, დაზიანებული და სასწავლო-კვლევითი პროცესისათვის გამოუსადეგარი წიგნების აღწერა-ჩამოწერის მიზნით.
- სასწავლო რესურსების განვითარება, რომელიც გულისხმობს სასწავლო რიდერების, როგორც დამხმარე მასალის დამზადებას, აუცილებლად იქნება მომავალი წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი
- საინვენტარო ჟურნალების ელექტრონიზაციის პროექტი. ეს პროექტი მნიშვნელოვანია არსებული წიგნადი ფონდების აღწერა-დამუშავებისათვის.